და აი, დასრულდა ექვსთვიანი, დაუვიწყარი ,,ნანტური" ცხოვრება, უამრავი მოგონებითა და საოცარი შთაბეჭდილებებით სავსე... მე კი, მხოლოდ ბარგის ჩალაგების დროს გავათვითცნობიერე, რომ აქ მთავრდებოდა ერთი შეხედვით ხანმოკლე, მაგრამ სინამდვილეში საგრძნობლად ხანგრძლივი, განსხვავებული და საინტერესო ცხობრება საფრანგეთში. გუშინდელი დღესავით მახსოვს, როგორ ჩავედით ოთხი გამოუცდელი გოგო უზარმაზარ და მიუჩვეველ ქვეყანაში, ქაოტურად და თითქოს დაბნეული თვალებით ვცდილობდით გზის გაკვლევას. მახსოვს, როგორ ვცდილობდით ერთად მიგვეღწია იმ მიზნებისთვის, რომლებიც დასახული გვქონდა. ერთმანეთს ჩავკიდეთ ხელი და ავყევით ფრანგული (ევროპული) ცხოვრების რიტმს, მალევე გავერკვიეთ ყველაფერში, რომ არ გაგვჭირვებოდა და გაგვძნელებოდა, შევეჩვიეთ და მეტიც, შევიყვარეთ.

იმისათვის, რომ მომცა შესაძლებლობა მესწავლა ნანტის უნივერისტეტში, ეს, უდაოდ იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, საუკეთესო და დაუვიწყარი ეტაპი.

დიახ, მე მიყვარს საფრანგეთში გატარებული ყოველი დღე, წარმატებული თუ წარუმატებელი, საინტერესოც, ხშირად რთულიც ან წამიერად მომაბეზრებელი, დროდადრო ნოსტალგიურიც. მგონია და მჯერა, რომ ყოველთვის უნდა მოერგო და შეეჩვიო გარემოს, რომლისგანაც ბევრს ითხოვ, უნდა შეეჭიდო და შეეცადო მიიღო მისგან მაქსიმუმი, ის, რაც გჭირდება და რისკენაც მიისწრაფვი. ეს ყოველივე კი შეუძლებელია, თუ არ მოირგებ, გაითავისებ და შეიყვარებ. მე კი, მგონია, რომ ჩვენ ეს შევძელით, მაქსიმალურად გამოვიყენეთ საკუთარი შესაძლებლობები და გავიზარდეთ, გავძლიერდით, განვიცადეთ დიდი პროგრესი და გავიარეთ წარმატების მიღწევისთვის მნიშვნელოვნად საჭირო საფეხურები. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ მიუხედავად დიდი პროგრესისა და სამომავლოდ წინ გადადგმული ნაბიჯებისა, მომენატრა ყველა და ყველაფერი, რაც ძალიან შორს არის საფრანგეთიდან. მომენატრა ჩემი ოჯახი, მეგობრები, უნივერსიტეტი და საერთოდ გარემო, სადაც გავატარე ცხოვრების დიდი ნაწილი, მომენატრა ის, რაც ჩემია. და რაც ყველაზე მთავარია, მივხვდი, რომ ძალიან კარგია წასვლა იქ, შორს, სადაც ყველაფერი ვარდისფერია, ეს ყველას უნდა, მაგრამ მერწმუნეთ, კიდევ უფრო კარგია დაბრუნება, რაც სამწუხაროდ, ძალიან უჭირთ ხოლმე. საოცარი შეგრძნებაა, როდესაც უახლოვდები უბრალოდ ყველაფერ შენსას, საკუთარს, ღირებულს, თუნდაც ბევრად დაუცველს და არეულს, ვიდრე აქამდე იყავი, მაგრამ მაინც ყველაზე საყვარელს და ძვირფასს. ბოლოს კი ყველას, ვისაც საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების სურვილი ოდესმე გაგჩენიათ, მინდა გისურვოთ გააკეთოთ ყველაფერი ამისთვის, რადგან ეს საუკეთესო გზაა ცოდნის გაღრმავების, პიროვნული განვითარების, გამოცდილების მიღებისა და სამომავლოდ სწორი არჩევანის გაკეთებისათვის. მე კი მინდა, კიდევ ერთხელ, საჯაროდ გადავუხადო მადლობა ჩემს უნივერსიტეტს, იმისათვის, რომ მომცა

შესაძლებლობა მესწავლა ნანტის უნივერისტეტში, ეს, უდაოდ იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, საუკეთესო და დაუვიწყარი ეტაპი.

ნინო ღარიბოვი

And now, the six-month unforgettable “Nantes life” is over, the life full of memories and fantastic impressions… I love every day spent in France with its success and fail, sometimes difficult and even temporarily boring. I believe that one should always adjust to the environment from which you require so much. You have to cope with the situation and get the maximum. My classmates and I think that we managed this, used maximum of our abilities. We became stronger, gained huge experience and got the important step towards success.

I would like to express my gratitude to my University for giving me the opportunity to study at Nantes State University. It was one of the most important, best and unforgettable stages in my life.

Nino Garibovi